

ოქმი N4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

13 მარტი 2019 წელი,

12⁰⁰ საათი -14⁰⁰ საათი

ქ. ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები ე. გორდელაძე, ლ. საჯაია, გ. ჩაგანავა, ლ. ბიგვავა, გ. კილაძე;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ. აროშიძე, ბ. ქათამაძე, ლ. მგელაძე, ბ. დოლიძე, გ. ჩავლეშვილი, გ. თოიძე, შ. გოგიბერიძე, დ. ჭაკნელიძე;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, ვ. ჩიგოგიძე, ნ. ორაგველიძე, დ. მამალაძე, გ. მდინარაძე, ვ. ბერიძე, ლ. ნინიძე, პ. კიღურაძე, მ. ზოიძე, ვ. ნიჭარაძე, ვ. ჩხაიძე, ბ. თოიძე, ლ. კილაძე, ვლ. ჩავლეშვილი, ჯ. თავართქილაძე, თ. ტულუში, ვლ. ღლონტი, თ. ბურჭულაძე, მ. ბერიძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- ალ. სურგულაძე, მოადგილე ო. თოთიბაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმის შესახებ - 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 35-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს 35 ხმით.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ განცხადების გაკეთება ითხოვა სოფელ ლიხაურის მცხოვრებმა პედაგოგმა ირმა გორდელაძემ.

დღის წესრიგი

8.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N60 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: პავლე ჭყონია

გიორგი ჩაგანავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ ითხოვა საკრებულოს წევრებისათვის განემარტათ სამოქალაქო ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული ხარჯების თაობაზე - მერის მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში - ალ. ბერიძემ გააკეთა მოკლე განმარტება, აღნიშნა, რომ პროექტი ხორციელდება ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით. მერია მხარს დაუჭერს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც მოსახლეობის ხმების უმრავლესობას მიიღებს. გ. ღურჯუმელიძემ ასევე განმარტება ითხოვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის გამოყოფილ 41-ათას ლარზე - განმარტეს, რომ ეს თანხა

გამოყოფილია აივ - ინფექციის, ც - ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის პრევენციის მიზნით მოსახლეობის კარდაკარ მისვლით გამოკვლევისათვის.

რაც შეეხება ავტოპარკის განახლებას აღნიშნული თანხის განკარგვამდე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოხდეს შესაბამისი წესის პროექტის შემუშავება, საკრებულოს მიერ დამტკიცება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოპარკის განაწილებას, გამოყენებას რაციონალურად და თავსებადი იქნება მთავრობის დადგენილებასთან. საკრებულო მიადევნებს თვალს ამ პროცესს და აქტიურად ჩაერთვება წესის შემუშავებაში.

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ. ბიგვაკამ განაცხადა, რომ შესაბამისი კომისიის სხდომაზე გამოითქვა შენიშვნები კულტურის სფეროს დაფინანსებასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია თუ არა იგი? რაზეც მიიღო შესაბამისი განმარტება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - გ. ჩაგანავამ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი, იყო შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებულია.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ. ბიგვაკამ კიდევ ერთხელ აღნიშნა პირველად ჩატარებული კრების ოქმებით დასახელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

9.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალექსანდრე ბერიძე

გიორგი ჩაგანავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

საკრებულოს აპარატში წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 22-მარტი.

10.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

საკრებულოს აპარატში წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 22-მარტი.

11.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

საკრებულოს აპარატში წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 22-მარტი.

12.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

თემურ გიორგაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

საკრებულოს აპარატში წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 22-მარტი.

13.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ლურჯუმელიძე

თანამომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, დასკვნა და რეკომენდაციები განხილული იქნა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში, ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად, რეკომენდაციების ნაწილის გაზიარება ჩაითვალა მიზანშეწონილად და გათვალისწინებულ იქნა-ეს ეხება საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებასა და ხელშეკრულებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ავტოპარკს, რაც შეეხება უძრავი ქონების პრივატიზებას, მიმდინარეობს შესაბამისი ორგანოების მიერ ძიება და შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, საკრებულო დაუბრუნდება მის განხილვას.

საკრებულომ ცნობად მიიღო სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვის შედეგები.

14.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ზღვის სანაპიროზე არსებულ გასასვლელისათვის „ნიკოლოზ ქარცივამის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

15.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

16.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, სოფელ ლიხაურში საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ირაკლი სირაძე

საკრებულომ ცნობად მიიღო პეტიციის გამო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე მერის მოადგილის ოსიკო თოთიბაძის ინფორმაცია.

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: დავით გორდელაძე

გიორგი ჩაგანავა

საკრებულომ ცნობად მიიღო მერიის ანგარიში.

17.13. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით

18.14. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 35-ხმით

19.15. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წელს სტიქიის პრევენციის მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 35-ხმით

20.16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.26.42.003.01.508) ქალაქ ოზურგეთში მ.კოსტავას ქ. N1 მდებარე 46.2 კვ.მ. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

ალეკო მამეშვილი

გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 35-ხმით

17. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის სახით წარდგენისა და ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

საკრებულომ ცნობად მიიღო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ღურჯუმელიძის მოკლე ინფორმაცია საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარების თაობაზე. ანგარიშების ჩაბარება დამთავრდება მარტის თვეში, შემდეგ ანგარიშებს ჩააბარებენ საკრებულოს თანამდებობის პირები და მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.


საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხომის დასრულების შემდეგ განცხადება გააკეთა სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა ირმა გორდელაძემ - მდინარე აჭის წყლის ხეობის მწვანე ზონად

გამოცხადების თაობაზე პეტიციისა და ამავე მდინარის ხეობაში ქვიშა-ღორღის მოპოვების

აკრძალვაზე, აღნიშნა, რომ წერილობით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს და ითხოვს-აღძრან შუამდგომლობა შესაბამისი სამინისტროს წინაშე აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, განუმარტეს, რომ განცხადებებს განიხილავენ და, ალბათ, შუამდგომლობასაც აღძრავენ და ამ პროცესებში განმცხადებელსაც აქტიურად ჩართავენ.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო